№ 172. 15 აგვისტო, პარასკევი. 1866—1880 15 აგვისტო, პარასკევი. № 172.

საჯარო ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ალექსანდრის ბაღის პირდაპირ, თავ. მარცხნივ თ. ლუარსაბ ოცხელიშვილის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა" „ივერიის" რედაქციაში. გარე ქვეყნებისათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроеба"—„Иверія".

„დროება"—„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროებისა" „ივერიისა" ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროებისა" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიისა" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა
ლიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ხვალ, შაბათს, მირქმის დღესასწაულობის გამო გაზეთი არ გამოვა.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის საავენტოსი)

სტამბოლი, 12 აგვისტოს. ელჩებმა მიიღეს საერთო ნოტის პროექტი საბერძნეთის საზღვრის თაობაზე, რომელიც შემდეგ პორტას უნდა წარუდგინოს.

სიმლა, 12 აგვისტოს. ციხიდამ ზედ-დასხმითი ომის დროს ინგლისელებს მოუკლეს 8 აფიცერი და 180 ჯარის კაცი; 5 აფიცერი დაჭრილია.

პეტერბურღი, 13 აგვისტოს. გუშინ დიდი-მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ცოლით და შვილით საზღვარ გარეთ წავიდნენ; დღეს აქ მოვლენ საბერძნეთის მეფე და მისი ცოლი. ლესოვსკიმ 8 აგვისტოს სანგაპურში გაიარა.

---

## კიდევ ძველ წიგნებზე

ტფილისი, 14 აგვისტოს.

პუნიური ომების დროს, ძველებურს რომში სცხოვრებდა ერთი ახირებული სენატორი, რომელსაც რაზედაცკი უნდა დაეწყო ლაპარაკი,— სიყვარულზე, თავისუფლებაზე, კაცთმოყვარეობაზე—ბოლოს უნდა თავისი სიტყვა ასე გაეთავებინა: *Delenda carthago*, ე. ი. კართაგენი მაინც უნდა დავაქციოთო.

ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურასაც სჭირია ერთი ისეთი სენატორი, ქაღალდის მუნდირით, რომელმაც წამ-და-უწუმ უნდა მოაგონოს ქართველ საზოგადოებას: „ნუ დაკარგავთ თქვენს კლასიკურ ლიტერატურას."

სასიხარულოთ, ეს აზრი ფესვს იდებს ქართულ საზოგადოებაში. ჯერ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ განიზრახა (და მოჰყავს ასრულებაში) ისეთი ბიბლიოთეკის გამართვა, სადაც უპირატესი ყურადღება იქნება მიქცეული ქართულ ხელთ-ნაწერ წიგნებზე. ეხლა, როგორც წაიკითხვენ ჩვენი მკითხველები ქვემოთ „ახალ ამბებში" სამოქალაქო მთავრობასაც უკისრნია ამ ძველ წიგნებზე ზრუნვა. მთავარ-სამმართველოში ქაღალდი კიდეც დამზადდა და მონასტრებს უნდა ჩამოერთვას ქართული ხელთ-ნაწერები, რომ მუზეუმში, ან საზოგადო ბიბლიოთეკაში იქნას დაცულიო, ამბობს „ახალი ამბები".

ქართული მონასტრის წიგნები ისე დაბნეულია და გაფუჭებული უპატრონობით, რომ „რაღა დროსო" შეიძლება სთქვას კაცმა; მაგრამ ისეც დიდი საქმეა, რომ რაც დარჩენილა, ის მაინც არ გაფუჭდეს და არ დაიკარგოს. სასულიერო მთავრობა, დარწმუნებული ვართ, გაიგებს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობას და თავის მხრით არამც თუ არ დააბრკოლებს საქმეს, სრულს შემწეობას აღმოუჩენს...

„წერა-კითხვის საზოგადოებისგან" დაწყებული საქმე სულ ყოველთვის ნახევარზე იქნებოდა გაჩერებული, რომ ეს გადაწყვეტილებაც არ დამატებოდა, რადგანაც პირველი ვერაფრით ვერ იშოვიდა მონასტრის წიგნებს. ეხლა კი იმედია, მომავალი ჩვენი ლიტერატურის მეისტორიენი ამ ორ ადგილში თუ სულ არა ბევრს მატერიალს იშოვნიან ქართული ლიტერატურისთვის.

ეს ბიბლიოთეკა, ეს ძვირფასი ბიბლიოთეკა, უნდა გახდეს ყველა ჩვენი მოზარდი ყმაწვილობისთვის წმიდა ტაძრად, რომელშიაც ის უნდა შევიდეს კრძალვით, რომლიდამაც იმან უნდა გამოიტანოს ქართული ჭკუის და ენის თვისებათა ცნობა, ქართული ისტორია. მხოლოდ მაშინ შეუძლია ქართველ ყმაწვილ-კაცს საქართველოსთვის სარგებლიანათ მაღალი განათლების მიღება, როგორიც იმას მიუძღვის თავის ქვეყნის და ენის ცოდნა. რამდენი ქართველი იურისტია ჩვენში, რომელსაც ვახტანგის კანონი თვალითაც არ უნახავს; რამდენი ექიმია, რომელსაც ჩვენი კარაბადინის არც კი გაუგონია-რა, რამდენი ისტორიკოსი და ფილოსოფი, რომელთაც არც „ქართლის ცხოვრება" იციან, არც ანტონ კათალიკოზი და სხვ. და სხვ. მაგრამ, მაგიერად, რამდენმა იურისტმა, რამდენმა ექიმმა და რამდენმა ფილოსოფოსებმა დასტოვეს თავისი სახელი შთამომავლობისთვის?!

ყველა ჩვენი რამდენიმე მაინც შესანიშნავი კაცები გაიზარდნენ ჩვენ კლასსიკებზე. იმათი ჩამოთვლა ან რა ['ა] !

მაშ ვისურვოთ ამ ახალი საქმისთვის გულ-წრფელი წარმატება და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას ამ კეთილ საქმეში. „დროების" რე-

---

## ფელეტონი

### მაჰმადიანთ საქართველოდამ

წინასიტყვაობა.— ავაზაკები.— ხანუმი — ხალხის გადასახლება — მლივს!— მადნები მაჰმადიანთ საქართველოში — გზები.— უპატრონობა — ჯაჭვის და საყვირის პროექტის შედგენა...

I

რომელი კორრესპონდენტიც დაიწყობს წერილს, იღებს ხელში კალამს, ჯერ თავის ვითარ-მყოფიერებაზე ლაპარაკობს, სჩივის, რომ ბევრისა მინდა თქმა, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო. ჩვენში—ყოველთვის და ყოველგან კორრესპონდენტი განდევნილია. ისე უცქერიან იმათ, როგორც მეჭორეს და საზოგადოების მოღალატეს! კორრესპონდენტი შიშკანკალშია: იმალება ყოველ ფუტურო ხის ჩრდილში; უნდა სწორისა და ბევრის თქმა, მაგრამ ვერ ახერხებს და გამოდის ორ-პირული ლაპარაკი. მუდამ შიში ჰბადავს ორ-პირობას, და ორ-პირობას განა ათქმევინებ სიმართლესა?

მაგრამ ბევრი კორრესპონდენტები ვარდებიან იმისთანა უბედურ მდგომარეობაში, არიან იმისთანა მიყრუებრლ ალაგებში, რომ რამდენიც გულით და სულით მოინდომონ დახმარება გაზეთისათვის, ან რამდენიც უნდოდეს გულის დარდების ამოცლა ქაღალზე, ვერ მოუხერხებია: მათი შრომა ქარს მიაქვს და მათი სურვილი სურვილათ რჩება, შრომა უნაყოფო შრომა გამოდის...

კორრესპონდენტებსაც ერთი ცუდი ზნე სჭირსთ: ისე კალამს ხელში არ აიღებენ, რომ „ბატები არ გააჯილიანონ," ან ვისმეს ტკბილი ძილი არ დაუფთხონ.

განა არ შეიძლება იმისთანა საგანი ამოარჩიოთ სალაპარაკოთ, რომ სხვას ეკლად არ მიერჭოს თქვენი ლაპარაკი? მგონებ შეიძლებოდეს. მაგალითად: ახლა მე უნდა ვილაპარაკო ავაზაკებზე; იმისთანა ავაზაკებზე, რომლებისაგან არც სამდურავს გავიგონებ და არც მუქარას. იმის მაგიერად, რომ ვილაპარაკო იმ ავაზაკებზე, რომელნიც კითხულობენ „დროებას" და სხვა გაზეთებს, ვილაპარაკებ იმ ავაზაკებზე, რომელნიც არც კითხულობენ და არც კალამით ნაკოდს წყლულებს გრძნობენ: ესე იგი ვილაპარაკებ გარეულ ავაზაკებზე და არა შინაურებზე.

ამ ახლო ხანებში ბათუმის მაზრაში ერთობ გახშირდა ავაზაკობა, მეტადრე არტვინის და არდანუჯის სანაწილოებში. სამი შემთხვევა იყო საყურადღებო, ამ სამში ერთი შესანიშნავი და რაინდულია. აი ვითარება ამ შემთხვევისა:

ორმოცზე მეტი კაცნი დაეცნენ აქაურ მყოფი ფაშის—სულეიმანის ცოლის სახლს, რომელიც საცხოვრებლად დროებით იმყოფებოდა ს. ხევაში, სადაც გახდა იმისი ქონება მსხვერპლი ავაზაკებისა, ეს იმ სულეიმან-ფაშის ცოლი არის, რომელიც ომიანობის დროს ოლთისიდამ მოდიოდა მრავალის ჯარით არტაანზე დასაცემად და რომელიც ბევრი შიშკანკალის მიზეზი გახდა, მაგრამ კი არ ეღირსა სურვილის აღსრულება, რადგან, როგორც ჩვენს ცოტა ჯარს ამისი ეშინოდა, ისე ხუთ იმოდნათ იმას ჩვენი ეშინოდა.

როგორც ფაშას, ისე იმის ხანუმს დიდი გავლენა ჰქონია აქაურ ხალხზე და არიან ძველ გვართაგანიც (ნაქართლარი კი არა), ყოფილან სათათრეთიდამ გადმოსახლებული.

თვითონ ფაშა ბაიბურთში იმყოფება გუბერნატორათ, ცოლი აქ იყო. ეს ხანუმი სულით და გულით ცდილობდა, რომ არტანუჯის მაზრა თან წაეყვანა: 27 მოსახლემდის თან გაიყოლა და დანარჩენიც პატარა ხნის შემდეგ წავლენ. აქაური ხალხი ბრმათ არიან მინდობილი თავიანთ ბეგ-აღებზე და მაგისთანა გავლენიან პირებზე. თუმცა ეს ფაშა ყოფილა და არის მიზეზი აქაური ხალხის გაღარიბების, გაცარცვისა, მაგრამ მაინც მას არ შორდებიან. ფულების სარგებლით გაცემით გლეხებზე შეძენილი სიმდიდრე ხანუმს თანა ჰქონია სოფელში. ჩვენ ვხედავდით, როგორც იგი უსამართლოთ ჰყვლეფდა ხალხს და აი ამ ნაირად მოგროვილი ფულები ავაზაკებს ეღირსათ.

ეს ყველა არაფერი. შესანიშნავია ავაზაკების მოქმედება.

ერთს მშვენიერს მთვარიან ღამეს ისინი დაეცნენ ხანუმის სახლს შეიარაღებულნი, თან ჰქონიათ „საყვირი" და დაცული ჰქონიათ ყოველი რიგი ლაშქრობისა: ჰყოლიათ თავიანთი ბე-

დაქციაც თავის მხრით დიდის სიამოვნებით იკისრებს გადასცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ყოველი საზოგადოებისგან შემოწირული წიგნი.

## ახალი ამბები

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამოქალაქო მთავრობას აქვს განზრახვა ჩამოართვას ქართულ მონასტრებს ძველი ქართული ხელთ ნაწერები და მოუყაროს იმათ თავი ერთ ადგილს ტფილისში. ამათი საცავად ტფილისის საზოგადოდ ბიბლიოთეკაში ან მუზეუმში აპირებენ გამართონ ცალკე განყოფილება. ამ საგანზე ქაღალდი დამზადებულია, როგორც გვითხრეს, კავკასიის მთავარ სამართველოში და ამ დღეებში მიუვა საქართველოს ეგზარხოსს.

* * *

ჩვენ შევიტყოთ, რომ პირველი ქართული შკოლა ბათუმში ამ მომავალ ენკენისთვის პირველს რიცხვებში გაიხსნება. როგორც მოგეხსენებათ, ამ შკოლას ხსნის თავის ხარჯით „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.“ მასწავლებელი კი ამ შკოლისათვის ჯერ-ჯერობით ვერ ამოურჩევია „წერა-კითხვის საზოგადოებას“. სიფრთხილე, დიდი სიფრთხილე მართებს საზოგადოებას ამ საქმეში.

* * *

[illegible] „კავკასიონ“ დაბეჭდილია განცხადება სამხედრო გიმნაზიის თაობაზედ. ვბეჭდავთ საჭირო ადგილებს ამ განცხადებისას:

„წრეულს სამხედრო გიმნაზიას მიემატება მეშვიდე კლასი

„წრეულს სახელმწიფო ხარჯზედ ალსაზრდელად ყმაწვილები მიიღება I და II კლასში. პირველ კლასში მიიღება სულ 26 ყმაწვილი და ოთხი II-ში.

„შინიდამ მსვლელთ შეგირდების მიღება, რომელნიც წელიწადში 25 მან. იხდიან სწავლისათვის გიმნაზიის დირექტორის უახლოვეს განკარგულებისაგან იქნება დამოკიდებული. თავის ხარჯით ყმაწვილებს არ მიიღებენ.

„სახელმწიფო ხარჯზე გიმნაზიაში მარტო თავად-აზნაურიშვილების მიღება კი არა არამედ კავკასიის და ამიერ-კავკასიის საზოგადოთ ყველა მცხოვრებთ შვილი, და აგრეთვე აფიცრებთა და მოხელეების შვილები, რომელთაც უმსახურნიათ ან ჰმსახურებენ კავკასიაში; შინიდამ მავლად კი ყველა წოდების მამის შვილი მიიღება.

„მეორე კლასში შემსვლელმა უნდა იცოდეს, რაც პირველ კლასში უსწავლია.

„წრეულს გიმნაზიის პირველ კლასში შესვლა იმ ყმაწვილებს შეუძლიათ, რომელნიც 10 აგვისტოს 10—12 წლის იქნებიან, და მეორეში ვინც 12—13-მდე იქნებიან.

„ეგზამენები და შემდეგ ლირსთა მიღება 15 სეკტემბრიდამ დაიწყება. ამ დროისთვის ყმაწვილები გიმნაზიაში უნდა იყვნენ მოყვანილნი.

„ვისაც გიმნაზიაში შვილის მისაღებად თხოვნა არ შემოუტანია, მაგრამ უნდა კი შეიყვანოს პირველ სეკტემბრამდე შეუძლია თხოვნის შეტანა.“

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მოკლე ხანში ბატ. ზ. ჭიჭინაძე ჰმართავს ტფილისში მეორე ქართულ წიგნის მაღაზიას. მაღაზია იქნება სარაჯიშვილის, წოვიანოვის სახლებში.

* * *

ბათომიდამ სომხურ გაზ. „მშაკში“ იწერებიან, რომ დიდ ძალი ხალხი გადავიდა და ახლაც ბევრი გადადიან აქედამ ოსმალეთშიო. მომეტებული ნაწილი ამათგანი ტრაპიზონისა და ბრუსის ახლო-მახლო ადგილებში დასახლდესო.

ამ გადასახლებას უნდა მიეწეროს ის გარემოებაო, რომ როგორც ახალციხეში, აგრეთვე ბათომის მაზრის ყველა ქალაქებში დიდი სიძვირე ჩამოვარდა ყოველ გვარ ხორაგეულისაო.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ ზორიდამ, ომ გლეხებს აღმოუჩენიათ ზოგიერთი ადგილები, სადაც წლევანდელ კალიას დაუდვია კვერცხი და ალაგ-ალაგ ცუტ-ცუტას ახლავე აგროვებენ ამ კვერცხებსაო.

ურიგო არ იქნება, რომ ამ საგნის შესახებ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოახდინოს განკარგულება, რომ კალოობის შემდეგ ნელ-ნელა შეუდგეს ხალხი კალიის კვერცხის მოგროვებას, თორემ წლევანდელსავით თუ გაზაფხულზე მოაცდინეს ხალხი, დიდი ზარალი მიეცემა სოფლის მუშაობას.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სომხებს თავიანთი ტრუპპისათვის სამი ახალი მო- [illegible] ტფილისიდამ: ორი აქტრისა და ერთიც აქტიორი; ამათ გარდა დასში დარჩება ნიჭიერი აქტიორი ათამიანი. მოთავეს სომხური დასისას თ. ნ. ამატუნს უკვე შეუკრავს პირობა ბატ. პალმთან მთელის სეზონისთვის, 30 წარმოდგენაში 4,500 მანეთი მიუცია [illegible] თითო წარმოდგენისთვის 150 მან.

ჩვენი დასის თაობაზე კი ჯერჯერობით არა ისმის-რა.

* * *

გაზ. „კავკაზში“ იწერებიან ქუთაისიდამ, რომ ჩვენს გუბერნიაშიაც რამდენსამე ალაგას გამოჩნდა კალიაო, სხვათა-შორის სოფ. ბაღდათიაკენ, მაგრამ არავითარი ზარალი არ მოუტანია ნამუშევრისათვისაო.

* * *

„მეღუშა“ სწერენ ახალციხიდამ შემდეგს:

„ახალციხის ქვემოთ, ორი ვერსის მოშორებით იწყება აჭარის თავი, სადაც მოსახლეობენ გამაჰმადიანებული ქართველებიო. როგორც ვიციო, ესენი წინეთ ქართველები ყოფილან, მაგრამ შემდეგ დროთა განმავლობაში დაუკარგავთ სარწმუნოება და გათათრებულან. ენა ისევ ქართული აქვსთ და ქართულადაც ლაპარაკობენ; მაგრამ ქართველებს რაო!! ამათ ქართველობა ძალიანა სძულთო(?), ქართველ კაცს რომ ნახვენ სადმე, ისე შეხედავენ, როგორც თავიანთ მომკვლელს ანუ მომწამვლელს (?!). ქართველობაზე რომ დაუწყოს ვინმემ ლაპარაკი და რომ უთხრას, რომ თქვენ ქართველები ხართო, იმ კაცს მოსაკლავათ არ დაინდობენო (?!).

„ამას წინეთ ახალციხის მოშორებით ერთს სოფელში, აწყვერში ერთმა სომხის მღვდელმა ერთს აჭარელს გათათრებულს ქართველს ლაპარაკი დაუწყო, რომ თქვენ ქართველები ხართო, თქვენი მამა-პაპები ქართველები იყვნენო და თქვენ რათ იძახით ურსაო. აჭარელმა მიუგო, რომ ოჰ! სულიერო მამაო, შენც

---

ლადი, საყვირი და ახალი მარტინის თოფები. აჲაზაკები ასრულებდენ ბეგლადის ყველა ბრძანებასა. სამჯერ დაუკვრავთ საყვირი: დაცემისა, აკლებ-გაცარცვისა და უკან გადგომისა! რაც ჰქონია მასპინძელს ამ მოუწვეველ სტუმრებს ჰრგვიან. ამას გარდა დაუჭრიათ ორი კაცი.

აჲაზაკების წაღებულს ფაის (წილს) აფასებენ სამოც-და-ათი ათას მანეთამდისინა. ფულების გარდა ყოფილა ბევრი ანტიკები (ძველი ნივთები), და ერთი ძველის-ძველი ხელთ-ნაწერი „ყურანი“, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ დამკარგავნი.

ასე, ჩვენი ხანუმის სალამურით შეკრეფილი ქონება აჲაზაკებმა საყვირით წაიღეს და ხანუმი წაბძანდა ხელცარიელი...

მეორე შემთხვევა იყო არტვინში: შინიდგან მამავალი არტვინის მაზრის მმართველის თარჯიმანი გახდა მსხვერპლი ამავე აჲაზაკებისა.

მესამე შემთხვევა: არდანუჯის ახლო ტალახეთში დაეცნენ ორს ფრანგს; ამათში ერთი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს.

ეს დიდრონი ამბები და პატარებს ხომ რიცხვი არა აქვს... ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

## II

ბადამსახლებლების ქარვანი თანდა-თან მატულობს. თითქმის აჭარის, მულღურის და იმერხევის ნახევარი წავიდა, არდანუჯიც იცლება, არტაანი ხომ დიდი ხანია დაიცალა; დანარჩენებიც მიდიან და უნდა ხელში შეგვრჩეს ვერანა სოფლები.

თათრების გარდა სომხებიც გადადიან არტვინიდამ და ფრანგები. ამათ სრული საფუძველი აქვთ გადასახლებისა. მაშ რა ქნან. თუ ღმერთი გწამსთ: მთელი ვაჭრობა, როგორც ჩვენშია, ამათ ხელში იყო ოსმალოს დროსა. მაშინ თავისუფალი ვაჭრობა და გზა ჰქონდათ სტამბოლთან. რასაკვირველია, დამოქნაც არ იყო და თავისუფლათ მოჰქონდათ საქონელი და ასაღებდნენ. ჩვენ შევყავით თუ არა ბათომში ფეხი, ეს კარი მათი ცხოვრებისა დაუკეტეთ. მაშ რითი ირჩინონ თავი; მუსულმანები მიდიან და რუსეთიდამ მოტანილი საქონელი ხელს არ მისცემს.

ერთხელ არტვინი და არტანუჯი იყო დაკეტილი ზანდუკი: შიგ ყველას ჰქონდა თავისი შინაურული უშფოთველი ცხოვრება. ახლა გაიხსნა, გავერანდა, ცხოვრება გასჭირდა. იმ თათარს, იმ ნახევარ მკვდარს კიდევ იმედი მიუცია დახმარებისა და უფასოთ ადგილების მიცემისა ქრისტიანებისთვის.

თათრებიც წავლენ, სომხებიც, ფრანგებიც, სოფლები ვერანად რჩება და ადგილები. რამდენი გაჭირებული ხალხია ჩვენში უადგილობის გამო და არავის-კი არ აძლევენ. ჭირი არ არის, მაშ რა არის? ცხრა მთის იქიდამ მოჰყავთ ხალხი და აქ ჩვენ გაჭირებულს ხალხს კი არ გვაძლევენ!

## III

ძლივს, ძლივს!!! ერთი მშვენიერი და სასარგებლო ამბავი მოხდა არტაჰანელებისათვის: ბ. რაზდერიშინი გამოაბძანეს სამსახურიდამ და იმის ადგილას სხვა ვილაც მირონოვი მოიყვანეს.

ძლივს! კარგია და კეთილი ესა, მაგრამ გვიან! რა გამოვიდა? სადილს უკან ფლავი მკვდარს მივაყარეთ. რას იზამ? ჩვენში ბოროტი საქმე მინუტებით ხდება, კეთილი წლობით და თვეობით. თხა რომ გასუქდება, მაშინ თივა თუნდ, მიგიციათ, თუნდ არა—სულ ერთია...

უსაქმო ენები ამბობენ, რომ ეს შესანიშნავი ბ. რაზდერიშინი უპვრანგოთ მობრძანდაო და ახლა ფარაცხენებით და „დიან-ბეგის ბარგით“ მიბრძანდებაო. ვინ იცის—ტყუილია თუ მართალი?! ღმერთმა ხელი მოუმართოს... ამდენი ყურადღება რომ მიაქციეს, ესეც კარგია. სულ არაობას ცხრა უღელი კატაც კარგია. ამბობენ, არც მირონოვის მოსვლით არტაჰანელებს გაუმთელდებათ იარები, რადგან იმან არ იცის არც თათრული და არც სომხური. ჩერქეზული ხოლოდ სცოდნია, მაგრამ დაღისტნის და . . . . . . . . .

## IV

როგორც მაჰმადიანთ საქართველოის სხვა ნაწილებში, ისე არტვინის და არდანუჯის მაზრების მაჰმადიანებს აბ!ოვეთ უკვდავი სახელი თამარ-დედოფლისა. იმის სხვა მხნეობისა და მამაცობის გარდა, ესენი ამბობენ: თამარ-მეფეს იმისთანა მცენარე ჰქონნიაო, რომ „რკინის ოქროთ აქცევდაო“. რასაკვირველია, ეს ზღაპარია. მაგრამ ეს წასრულ მომქმედი მცენარე აქაური მაღნები ხომ არ იქნებო-

ეგრეო, შენგან ეგ იმედი არა გვქონდა, რომ შენც გაგვიბედავდი და დაგვიწყებდი მაგ გვარს საქმეზე ლაპარაკსა! მღვდელს მიუგია: თქვენი სამშობლო ენა ხომ ქართული ენააო. მაგრამ ის მაინც გასჯავრებია, და არა თუ მარტო ეს ერთი გათათრებული ქართველი, მთელს ამ გათათრებულ ქართველებს ჭირივით ეჯავრებათ ქართველები და ისინიც თავიანთ-თავს თათრებათ სცნობენ, ისეც უწოდებენ და არა ქართველებათა.“

თუ ამ სომხის გაზეთის კორრესპონდენციაში ერთი იოტის ოდენა მართალიც იმას უნდა მივაწეროთ, რომ ლაზ, მაჰმადიანი ქართველები (როგორც ბევრი ჩვენშიაც) ხალხოსნობასა და სარწმუნოებას ვერ არჩევენ ერთმანერთში. ქართველი იმათ თუ არ მართლ-მადიდებელი ისე ვერ წარმოუდგენიათ.

მაგრამ ზიმომყვანილს კორრესპონდენციას კილოზედ ეტყობა, რომ ის სომხისაგან არის დაწერილი.

* *
*

„მშაკის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი სწერს: რომ აქაური სომხური გაზეთი „ჰაირენიქი“ (სომხობა), რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა, დღეის შემდეგ მუდამ დღე დაიწყობს გამოსვლასაო. ამის შემდეგ სტამბოლში სომხებს ოთხი დღიური გაზეთი ექნებათ: „მასისი“, „მეღუ“, „მანზუმე ეფთიქარი“ და „ჰაირენიქი“, გარდა სხვა გაზეთებისა და გამოცემაებისა, რომელნიც ოსმალეთის სხვა ქალაქებში გამოდიან.

ამბობენ აგრეთვე, რომ თფილისის სომხ. გაზეთი „მეღუ ჰაიასტანი“ მომავალის წლიდამ ყოველ-დღიურ გაზეთად გარდაიქცევაო. დღეს ეს გაზეთი კვირაში ორჯერ გამოდის.

*
* *

ჩვენ მივიღეთ ფოთიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ეს რამოდენიმე დღეა, რაც ჩვენს მცხოვრებლებში გავრცელდა ლაპარაკი ფოთში ქალაქის თვით მმართველობის შემოღებაზედ, ესე იგი უპრავისა და ქალაქის რჩევის დაარსებაზედ. მაგრამ რა, ჩვენს საზოგადოებაში, საუბედუროთ, რამოდენიმე იმისთანა გაიძვერაები და საზოგადოების მავნე პირები ურევიან, რომ ამოდენა ხალხს საითაც და როგორც უნდათ, ისე ატარებენ. ესენი არწმუნებენ ხალხს, რომ თვით მმართველობა ქალაქისათვის ჯერ საჭირო არ არისო, იმას დიდი ხარჯი უნდაო, ზარალის მეტს სარგებლობას არ მოუტანსო ქალაქსო და სხვ. და სხვ.

„საკვირველია ამათი ლაპარაკი: ჯერ თვით მმართველობა საჭირო არ არისო, საჭირო ეხლა არის, მინამ კიდევ ქალაქს სული უდგია, თორემ როცა სული ამოხდება, მაშინ ველარც „უპრავა“ უშველის და ველარც „პალატა“. დიდი ხარჯი უნდაო; რაც უნდა დიდი ხარჯი უნდოდეს, არ გაუჭირდება, ბევრს მომატებულს ხარჯს შეამოკლებს და ეს შემოკლებული ხარჯები თვით მმართველობასაც შეინახავს და კიდევაც მორჩება. თვით მმართველობას რაც ზარალი სხვა ქალაქებისათვის მოუტანია, იმასაც ჩვენ უნდა ველოდეთ.

„აი ამისთანა ბატონების ლაპარაკით ჩვენი ქალაქი უკან რჩება, მაგრამ მცხოვრებლებისაგან იმედია რომ მაინც კაცების ლაპარაკს ყურს არ ათხოვებენ და გულ მხურვალედ მოჰკიდებენ ხელს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს“.

ტროილე.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! ერთხელ გაზეთებში დიდი ბაასი იყო მასზედ, რომ საქართველოში მოსამსახურე კაცმა უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა თუ არა? ზვიპასუხეს, რომ შეიძლება ადვილათ სამსახური თუნდ რუსულის მეტი არ იცოდესო.

დიახაც შეიძლება, თუ ყურადღებას არავინ მიაქცევს ამისთანა შემთხვევას:

ამ თვის 5-ს, ქალაქის რკინის გზის სტანციაში, იმ დროს, როდესაც შუადღის პოეზდს ამზადებდნენ გასასტუმრებლათ, ერთმა გლეხ-კაცმა მოიტანა პოვოზკით კუბო. კარგათ მორთული; დეჟურნათ იყო რუსის პოლიციის აფიცერი და როგორც დაინახა კუბო, მივარდა გლეხს, ჰკითხა: გარდაცვალებული არის თუ არა, და როცა პასუხად მიიღო რომ არის, მოიყვანა ეს გლეხი სტანციის უფროსთან და ჰკითხა ამასა, რომ შეიძლება განა მიღება გარდაცვალებულისა? ჰკითხეს გლეხსა: გარდაცვალებულის აქედან წასვენებაზედ გუბერნატორისაგან ნება აქვს აღებული თუ არა, და ამან მოახსენა არ ვიცი, პატრონი აგერ მოვა და იქნება იმას ჰქონდეს კიდეცაო.

სტანციის უფროსმა უბრძანა პოლიციის აფიცერს დაითხოვე, რადგანაც ვერ მოვასწრობთ მიღებასაო. მაშინ პოლიციის აფიცერმა გამოაცხადა, რომ გარდა ამისა ძალიან სუნი სდის გარდაცვალებულსაც ასე, რომ არ დაიდგომება ახლო; სტანციის უფროსმა ჰკითხა: განა კუბო ორიანი არ არის და კარგათ დაბეჭდილიო? აფიცარმა უპასუხა: არაო, ერთიანი კუბო არის და არც არის თავი კარგათ დახურულიო; სტანციის უფროსმა უბრძანა, რომ უთუოთ დაითხოვონ გლეხი, თუნდ რომ გარდაცვალებულის პატრონმა მოიტანოს გუბერნატორის ბრძანება.

ამის შემდეგ პოლიციის აფიცერმა მოიწვია ორი თავისი სალდათი, დაუშინეს გლეხსა და დაუწყეს პოვოსკის ცხენს ცემა.

ამ დროს სალდას დაიკარგა მეპოვოსკე და ცხენს უიმისოთ ვერავინ აბრუნებს უკან. შეიქმნა აყალ-მაყალი, რომელშიაც გლეხმა წარმოსთქვა:—იქმნება ამ დალოცვილს ჰგონია კუბოში გარდაცვალებული იყოსო! მოახსენეს ესა მაყურებელმა ხალხმა აფიცერსა; მაგრამ ამან არ დაიჯერა, თუ კუბო ცარიელია, მანამ კუბოს თავი არ ახადა. მაშინ დაიბარა სალდათი, უბრძანა უსუნოს, ცუდი სუნი ხომ არა აქვს კუბოსა (თითონ აფიცერს ცხვირი ზედ კუბოზედ ედო იმ დროსა). სალდათმა ჩახედა კუბოსა და სიცილით მოახსენა თავის უფროსსა, რომ კუბოში გარდაცვალებული არ არის, ახალი და კარგია და სუნი საიდგან ექმნებაო?! აფიცერს ვკითხეთ საიდან მოეჩვენა მძიმე სუნი და გვიპასუხა, რომ ამ გლეხს ვკითხე არის გარდაცვალებული თუ არა და სთქვა, რომ არისო, მეც წარმოვიდგინე ზაფხულში სუნი ექნებაო. უთხრეს გლეხსა: ბიჭო, რათ მოატყუე აფიცერიო და იმან სთქვა, რომ აფიცერმა მკითხა გარდაცვალებული არის, თუ არაო? ვიფიქრე: რა სულელია, გარდაცვალებული რომ არ იყოს, კუ-

---

დენ. რომელნიც უხვად იპოვებიან ართვინის და არდანუჯის მაზრებში. ბუმუშხანაში (არდანუჯის ახლოა) ახლაც ვხედავთ ნაშთებს მადნეულს დასადნობ ბუხრებისას. ეს ცოცხლად გვიმტკიცებენ, რომ აქ ერთხელ მუშაობდნენ ქარხანები, მაგრამ რისა ყოფილან ეს მადნები—ბნელია, შემდეგ აღმოჩნდება, რასაკვირველია. მგონია უბრალო არ უნდა იყოს.

ახლა მოსულა ვიღაც ბერძენი და ართვინის ახლოსა სთხრის სპილენძის მადენს, რომელიც უხვათ ამოდისო. ამბობენ, თხრის დროს ბევრი ხდება ტამრებში ნამდვილი სპილენძი (самородокъ).

უფრო კეთილი და სასარგებლო იქმნებოდა, რომ მთავრობამ მიაქციოს ფიცხელი ყურადღება აქაური მადნების საქმეს და ამუშავებინოს; ამით შეიძლება გაუჩინოს აქაურ დანარჩენ ღარიბ ხალხს ცხოვრების წყარო. სიმტკიცით რომ მოეკიდნონ საქმეს, იქმნება აქაურობაში გამოჩნდეს უფრო კარგი მადნები—ოქრო-ვერცხლისა. საწვავი შეშის ნაკლულებას არ გასწევენ, ჯერ საქმეს შეშით წაიყვანენ და მერმე შეიძლება აღმოჩნდეს ქვა-ნახშირის მადანიც, რომელიც, ამბობენ, ოლთისის მაზრაში ბევრია:

V

არტაჰან—ბათუმის გზა გააჩერეს, დროებითი განსვენება მიანიჭეს. ამის მიზეზად დაიბადა ბრძოლა, რომელიც ატყდა იმჟინერების და გამომჩხრეკელების (კანტროლიორების) შუა, ისე რომ ამავე მიზეზით არდანუჯს ელირსა ბევრი გენერლების ნახვა. მოდიან, ზომენ, ზომენ და ვერა გაუზომიათ, თუ ბ. ბ. ინჟინერებს რამ სიგძე აქვთ ჩაყლაპილი და რა სიგძესა აპირობდნენ ჩაყლაპას. მალე სტაცეს ხელი, მაგრამ ის ჩაყლაპულიც ვერ გამოუყვანიათ, რადგან მრავალ შტოვანია და ყელს ეჩხირებაო.

დიახ, დიდის ლოდინით ველოდით ამ გზის გაკეთებას, იქმნება ფოშტა გვღირსებოდა, მაგრამ სად არის? პატარძალს სად აქვს იმისთანა იღბალი, რომ სახლის დაგვის დროს ოქროები იპოვოს? ვის რად უნდა, რომ იფიქრონ ამდენი საცოდავი მოხელეების მდგომარეობაზე? ორი წელიწადია ფეხი შევსდგით აქაურობას და აქომამდის უბრალო ფოშტა ვერ გაამწესეს ართვინ—არდანუჯამდის. ბევრი უბედური თავის სახლ-კარს მოშორებული მოხელე სამსახურის გამო—უნუგეშოთ და შფოთში იმყოფება, უფოშტობის წყალობით. კაცი ერთი წერილის მონატრული გახდეს სამი-ოთხი თვის გამავლობაში თავის სახლ-კარიდამ, ნათესავებისაგან—უბედური არ იქმნება და მაშ რა იქმნება?!

აი ორი სურათი, რომელსაც ალვწერ ჰაშნიკათ და იქმნება გიამოსთ:

თითქმის ნახევრად მოხუცებული ორი წელიწადი მონატრული ცოლშვილის ნახვისა; იღებს წერილს, ისიც ზაკაზნოის, ორის თვისაც და ისიც გახსნილს! იმ წერილში სწერია ალბათ იმის სახლის საიდუმლოები. ჯერ თუთხმეტს უცხო კაცს წაუკითხავს და მერმე პატრონს ღირსებია წაკითხვა. კარგია!

მეორე შემთხვევა. ახალ-გაზდა ჰექიმი, რომელსაც ჰქონია ერთს ქალთან ცოლ-ქმრობის პირობა, ბედს გადმოუგდევნია ამისთა უდაბნოსკენა. ჰექიმი იწერება წერილებს და ქალიც იწერება; არც პირველს მოსდის წერილი და არც მეორეს. ექვსი თვის შემდეგ ჰექიმს მოსდის ტელეგრამა, რომელშიც იწერებიან:

„ბევრი გელოდე და გიცადე, მაგრამ შენგან არავითარი წერილი, არავითარი ნუგეში ვერ მივიღე და ახლა სხვას ვეკუთვნიო“.

აი უბრალო მიზეზით, იქმნება, სამუდამოთ დაიმხო ერთი კაცის ბედი! იქმნება სამუდამოთ გაუბედურდა ის ბედკრული! მიტომ ვამბობ „გაუბედურდა“, რომ მე თვითონ ვიყავი იმისი ოხვრა-კვნესის მოწმე!..

განა საშველი არ არის, რომ რიგიანად გადასცენ-გადმოსცენ ფოშტა? არის. არტაჰნიდამ ბათომამდის არიან განწესებული ფოშტები; ზოგან ყაზახები და ზოგან ოსები; მაგრამ ერთი კეთილი ვინმე არ არის, რომ ჰკითხოს: რა არის ამათი დანიშნულება? ოსებს არ დაზარდებათ, მე ვიცი, გადატან-გადმოტანა ფოშტისა, უკეთუ განკარგულება მოახდინოს ვინმემ. ვისი ვალია? ამისათვის ფოშტა დაყრუებული და დამუნჯებულია. ვის გააგონებს? მე მგონია ერთი ინჟინერის მოპატიჟება ამაშიც დაგვჭირდეს, რომ ერთი დიდი საყვირის პროექტი შეგვიდგინოს, რომ იმ საყვირით მაინც გავაგონოთ ეს ჩვენი შეწუხება...

ს. ბაგრელი.

არდანუჯი, 10 ივლისს.

ბო რა ეშმაკათ გვინდაო! ვსთქვი, მკითხავს—ვისთვის და რისთვის გინდა კუბოო და ვუთხარი რუსულად, რომ „არისო.“

დანარჩენს თავი დავანებეთ; მხოლოდ სტანციის უფროსს შევატყობინეთ, რომ გარდაცვალებული შიშით გაიქცა ალბათ და იმავე წამს მძიმე სუნიც მოისპო ახლო-მახლო... ყველამ ბევრი იცინა, მაგრამ გლეხს კიდევ სტკივა ზურგი თუ არა ცემისაგან—რა მოგახსენოთ.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ოსმალეთი დაკითხებია ევროპის უმთავრეს სახემწიფოებს შესაძლებელი იქნება თუ არა ჩერნოგორიასთან მოსარიგებლად დანიშნული დროის გაგრძელებაო, და პასუხად მიუღია თუ ოსმალეთი კვლავაც მზად იქნება ევროპის ნების ასრულებისათვის მაშინ შეიძლებაო. ამასთანავე ვითომც ჩაგონებიოსთ, რომ დულციონის დათმობის თაობაზე ჩერნოგორიას მოელაპარაკა.

—

**გოლოსის** ვენელი კორრესპონდენტი სწერს, რომ სახელმწიფოებმა შვა სეკტემბრამდი მისცეს დრო ოსმალეთს ჩერნოგორიასთან შეთანხმებით საქმის გასაკეთებლადო.

ტელეგრამმებში წაიკითხავთ, რომ სახელმწიფოების წარმომადგენელთ სტამბოლში ახილი საერთო ნოტის პროექტი მიუღიათ, რომელიც შემდეგ ოსმალეთს უნდა წარედგინოს. ამ ნოტაში, როგორც „სტეფანის სააგენტო“ გვაცნობებს უარყოფილი უნდა იყოს ოსმალეთის წინადადება ახალი ოსმალ-საბერძნეთის საზღვრის გაყვავის თაობაზე.

# განცხადებანი

**კვირას, 17 აგვისტოს ქ. გორში წარმოსდგება სცენის მოყვარეთაგან ოთხ-მოქმედებიანი ტრაგედია**

## „ქოროღლი“

თხზ. ზ. ანტონოვისა.

(3—2)

---

**ტფილისის ქალაქის სასწავლებლის კომიტეტი** მოიწვევს მასწავლებლობის მსურველთ პირველ-დაწყებითი სკოლის სამს განყოფილებაში და სახელოსნო სასწავლებლის ამდენსავე განყოფილებაში.

მსურველთ თავიანთი სურვილი უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის სეკრეტარს ყოველ დღე 12 საათიდამ 2-მდე.

განყოფილებანი სამად იყოფება: ერთი რუსული, მეორე ქართული, მესამე სომხური, და თითო მათგანში სწავლა დედა-ენაზე უნდა იყოს.

(3—3)

---

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აჟები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—3)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქალალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—9)

---

**შემთხვევით ისყიდება**

# ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—8)

---

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად**

**მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—8)

---

ი ყ ი დ ე ბ ა

**ახალი წიგნი**

სამწერლო

# თაიგული

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) ბ—სა. **V**. ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასაათის გაკეთება, სამუელ სმაილსისა **VIII** უცოხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხუთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

**დაიბეჭდა და ისყიდება** ვართანოვის წიგნის **მაღაზიაში**

# ა ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

---

**სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა**

ს ა კ უ თ რ ი ვ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIENNES*’-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მანქანების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შკილებითურთ.

---

# კანტორა

**ოდესსის ვაჭრის**

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნაღდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყუთი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—33)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მანეთად ღირს.

(100—26)

---

**პატენტიანი შრატკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საზურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ.-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—39)

Дозволено цензурою. Тифлисъ 14 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი